შეთანხმება

ერთის მხრივ, შპს „როიალ არტი“ წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის მიხეილ მახარაძის სახით და მეორეს მხრივ, „შპს ინსეკო“ წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა ღამბაძის სახით, შევთანხმდით შემდეგზე:

2011 წლის 2 მაისს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება, ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქ. 19-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტის თანახმად მოცემული სამუშაოები შესრულებულია და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი შეთანხმებულია თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურში.

წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ საპროექტო ორგანიზაცია შპს „როიალ არტი“ ზემოთხსენებულ პროექტზე საავტორო უფლებას გადასცემს შპს „ინსეკოს“ და ანიჭებს სრულ უფლებამოსილებას პროექტი განკარგოს და გამოყენოს საკუთარი სურვილისამებრ (შესაბამის უწყებებში წარსადგენად და სხვ.).

შპს „როიალ არტი“ აცხადებს, რომ არ გამოთქვამს პრეტენზიას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ინსეკო“

მის.: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.78, 3/10

ს/კ 205280015

პაატა ღამბაძე დირექტორი

შპს „როიალ არტი“

მის.: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის 17/30

ს/კ 404873570

მიხეილ მახარაძე პრეზიდენტი

არქიტექტორი: ---

არქიტექტორი: ---

კონსტრუქტორი: ---

15 იანვარი, 2012 წელი